

ფსიქოლოგიური კეთილდღეობა ლიბიდოს დაქვეითების მქონე  
პიროვნებებში

მარია ინჯგია

მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტი

კლინიკური ფსიქოლოგია

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: ქეთევან მაყაშვილი

თანახელმძღვანელი: ზურაბ მარშანია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიკა ინჯგია

თარიღი: 10.07.2020

## აბსტრაქტი

ფსიქოლოგიური კეთილდღეობა მოიცავს შინაგან შეგრძნებას პოზიტიურ ფუნქციონირებასთან დაკავშირებით. სექსუალური ფუნქციონირება კი მნიშვნელოვანი კომპონენტია კეთილდღეობის შეგრძნებისთვის. ლიბიდოს დაქვეითება აქტუალური პრობლემაა და მისი კვლევა ფსიქოლოგიურ თავისებურებებთან მიმართებაში ძალიან მნიშვნელოვანია, რათა შეივსოს ინფორმაციული დეფიციტი, როგორც ფსიქოლოგიის ასევე სექსოლოგიის სფეროებში. თვითონ ლიბიდოს მნიშვნელობა ფსიქოლოგიაში განსაკუთრებულად დიდია, ვინაიდან ეს ტერმინი ფსიქონალიზის მიხედვით ბევრად უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ სექსუალური დრაივი.

რესპოდენტების მხრიდან ფსიქოლოგიური კეთილდღეობის შესახებ მრავალფეროვანი ინფორმაციის მოწოდების მიზნით კვლევა არის თავისებრივი სახის. წინამდებარე კვლევაში სწორედ ის კომპონენტები არის განხილული ლიბიდოს დაქვეითების მქონე პიროვნებებში, რომელიც წარმოაჩენს ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას. მონაცემების დამუშავებისას გამოიყო ხუთი თემა: ემოციები, ჩართულობა, ურთიერთობები, მნიშვნელობა და მიღწევადობა.

მიღებული შედეგებიდან გამომდინარე გამოვლინდა ის პრობლემური და ძლიერი სფეროები კეთილდღეობის თვალსაზრისით, რომელიც აღენიშნებათ ლიბიდოს დაქვეითების მქონე პიროვნებებს. კვლევაში მითითებული რეკომენდაციები კი იძლევა ინფორმაციას გრძელვადიან პერსპექტივაში მიღებული შედეგების უფრო დეტალური კვლევის შესახებ, ვინაიდან ლიბიდოს როლი პიროვნების ფსიქოლოგიურ კეთილდღეობის თვალსაზრისით საკმაოდ მნიშვნელოვანია.

საკვანძო სიტყვები: ფსიქოლოგიური კეთილდღეობა; ლიბიდოს დაქვეითება; სექსუალური ფუნქციონირება.

## **Abstract**

Psychological well-being includes an inner sense of positive functioning. Sexual function is an important component of well-being and declining libido is a main problem, and the research into psychological features is very important to fill the information gap, in both spheres: sexology and psychology. In psychology, the meaning of libido is very important, and the term is much more than just as a sexual drive.

In order to provide a variety of information about the psychological well-being of respondents, research is qualitative. In the recent study, the components which are discussed with individuals who have decreased libido, exhibit psychological well-being. During data processing five topics were identified: emotions, engagement, relationships, meaning, and achievement.

The results show the problems and strong point areas in terms of the well-being of individuals with decreased libido. The recommendations which are present in research provide information on a more detailed study of the results obtained in the long run, since the role of libido is quite important regarding to a person's psychological well-being.

Keywords: Psychological well-being; Decreased libido; Sexual function.

## მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას გაწეული დახმარებისათვის მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს ქეთევან მაყაშვილს, რომელიც ჩართული იყო ჩემი სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ყველა ეტაპზე. მისი მხარდაჭერის გარეშე რთული იქინებოდა აღნიშნული ნაშრომის მომზადება .

ასევე მადლობას მინდა ვუთხრა ნაშრომის თანახელმძღვანელს, პროფესორ ზურაბ მარშანიას, კვლევაში მონაწილე რესპოდენტების ჩემთან დაკავშირებისთვის და სამედიცინო სექსოლოგიური გამოცდილების გაზიარებისთვის.